# წლიური ანგარიში
# 2007



*მეცნიერების განვითარებისათვის*

WWW.GNSF.GE

სესფ GNSF

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# წლიური ანგარიში

# 2007

*მეცნიერება განვითარებისათვის*

თბილისი, 2007

**კოორდინაცია:** ნათია ჯოხაძე

**მასალების მომზადება:** რევაზ ასათიანი, დავით ჩიჩუა, ლელა ხუბუტია, თედორე დოლიძე, ეკატერინე ბუთლიაშვილი, ეკატერინე ლეჟავა, ციალა ბერიშვილი, ნიკოლოზ ბაქრაძე, ხვიჩა წაქაძე, ნინო დემეტრაშვილი, მაია ჭანტურია.

**კომპილაცია და გრაფიკული უზრუნველყოფა:** ლელა ხუბუტია

**საგამომცემლო მენეჯმენტი:** მაია ჭანტურია

**გრაფიკული დიზაინი:** მაკა ცომაია

© საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მოცემული პუბლიკაციის ტექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისათვის, წყაროს მითითებით.

# სარჩევი


I ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მისალმება 4

II მოვლენები, ფაქტები, მიღწევები 6

III საქმიანობა 18

1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები 2007 18

1.1. რეგისტრირებული პროექტები ........ 18
1.2. კონკურსის შედეგები ........ 23
1.3. დაფინანსებული პროექტები ........ 27
1.4. 2006 წელს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი ........ 37

2. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო კონკურსი 2007 39

3. ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები 43

3.1. საგრანტო კონკურსი სამეცნიერო აპარატურის შესაძენად ........ 43
3.2. საგრანტო კონკურსი ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად ........ 44

4. ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამები 45

4.1. კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად ........ 45
4.2. კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად ........ 47
4.3. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი ........ 49

5. საერთაშორისო თანამშრომლობა 62

- აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი – CRDF ... 62
- უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი – STCU ........ 66
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი – ISTC ........ 66
- ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი – NATO ........ 67
- INTAS ........ 68
- ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამა – FP7 ........ 69
- ევროკავშირი ........ 70
- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია – BSEC 70

IV ფინანსური საქმიანობა 71

V ჩვენს შესახებ 74



## ნათია ჯოხაძე

საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის დირექტორი

უპირველეს ყოვლისა მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციასა და პირს, ვინც მხარს უჭერდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეტად მნიშვნელოვან საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქტიურ თანადგომა. ის დაინტერესება, რომელიც უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და სრულიად სამეცნიერო საზოგადოებამ გამოხატა თავისი აქტიურობით და ჩართულობით, თემატური დისკუსიებით თუ იმ საქმიანი ურთიერთობებით, რაც მთელი წლის მანძილზე გვაძლევდა საშუალებას ერთობლივად დაგვეგეგმა და განგვეხორციელებინა მთელი რიგი საინტერესო პროექტები.

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2-წლიანი მუშაობის მანძილზე რიგი პროგრამები განახორციელა, რომელიც ემსახურება და ეხმარება მეცნიერების განვითარებას ყველა შესაძლო მიმართულებით და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობას.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი მეცნიერების ადმინისტრირების სფეროში ხელმძღვანელობს თანამედროვე მეთოდოლოგიით და ტექნოლოგიებით. 2007 წელს დაინერგა საკონკურსო პროექტების რეგისტრირების დისტანციური სისტემა, რომელიც განსაკუთრებით მოსახერხებელია საქართველოს რეგიონებსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე მეცნიერთათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით 2007 წელს მეცნიერების განვითარებაზე გამოიყო 8,5 მილიონი ლარი, რამაც საშუალება მისცა საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ადმინისტრირება გაეწია 15-მდე სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამისათვის, მათ შორის გამოსაყოფია ორი მნიშვნელოვანი ახალი მიმართულება:

1. ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის პროგრამები;
2. მეცნიერების კომერციალიზაციის პროგრამები.

ახალგაზრდა მეცნიერთა სტიმულირების, მათი სათანადო სამეცნიერო გარემოში დამკვიდრების და მომავალი სამეცნიერო კადრების სრულყოფის მიზნით 2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ განხორციელდა ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის 4 პროგრამა. ერთ-ერთი მათგანი მიზნად ისახავს ინდივიდუალური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების პროგრამას: **ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები.** საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ამ გრანტის მფლობელი 37 ახალგაზრდა მეცნიერის და მათი სამეცნიერო პროექტის მხარდამჭერია.

2007 წელს საქართველოში აღინიშნა აკადემიკოს ილია ვეკუას იუბილე — ამასთან დაკავშირებით ფონდმა **ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიები** დააწესა მათემატიკასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მოღვაწე ახალგაზრდა მეცნიერთათვის და აკადემიკოს **ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდიები** - სიცოცხლის შემსწავლელ და სამედიცინო მეცნიერებების დარგში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერთათვის. 2008 წელს 20 ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს ამ გამოჩენილი მეცნიერების სახელობით სტიპენდიას.

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდთან და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდთან ერთად შეიმუშავა პროგრამა, რომლის ფარგლებში, 15 ახალგაზრდა მეცნიერს მიეცა საშუალება 2008 წელს ერთწლიანი სამეცნიერო საქმიანობა განახორციელონ აშშ-სა და საქართველოს უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მიიღებს მონაწილეობას — ამ მიზნით აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდთან და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდთან ერთად განხორციელდა პროგრამა: **ბიზნეს-პარტნიორობის გრანტები**, სადაც და როდესაც სამეცნიერო აღმოჩენების და კვლევების შედეგები იმკვიდრებს ადგილს წარმოებაში და ამ გზით მიღებული მეცნიერება-ტევადი პროდუქტი ინტენსიური ეკონომიკის განვითარების განუყოფელი ნაწილი ხდება.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან, რის შესახებ დეტალურადაა ინფორმაცია მოწოდებული წინამდებარე ანგარიშში.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წლის ინიციატივებს შორის ცალკე გამოსაყოფია NATO-ს სამეცნიერო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობა — აღსანიშნავია რომ, NATO-ს სამეცნიერო გრანტის მიმღები ყველა მეცნიერი სახელმწიფო პრემიითაც დაჯილდოვდება.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წლის საქმიანობა. ჩვენ ვფიქრობთ – საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში ისტორიული პირობების ფორმირებისთვის სახელმწიფო მოწყობის, მართვისა და ადმინისტრირების პოლიტიკასთან ერთად, სამეცნიერო პოლიტიკა ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ უნდა დარჩეს.

# II მოვლენები, ფაქტები, მიღწევები

## 30 იანვარი
**მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო კონკურსი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად**



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადდა მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას. სამოგზაურო გრანტები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კონკურსის შედეგად 2007 წელს დაფინანსდა 83 ქართველი მეცნიერი 31 ქვეყანაში დაგეგმილ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად.

## 15 თებერვალი
**საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2006 წლის წლიური ანგარიში**



2007 წლის 15 თებერვალს, საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოსცა თავისი პირველი ქართულ და ინგლისურენოვანი წლიური ანგარიში - 2006.

აღნიშნული ანგარიში მკითხველს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს დეტალური ინფორმაცია ფონდში მიმდინარე მოვლენების, ფაქტების, მიღწევებისა და ფონდის საქმიანობის შესახებ.

წლიური ანგარიში ასევე მოიცავს ფონდის ფინანსური საქმიანობის ანგარიშსა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ანგარიშებს.

## 19 თებერვალი
## ფონდის სამეცნიერო საბჭოს II სხდომა



2007 წლის 14 თებერვალს ჩატარდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს II სხდომა, სადაც განხილულ იქნა ფონდის 2006 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში და ჩამოყალიბდა ფონდის სამომავლო საქმიანობის სამუშაო გეგმა.

## 19 თებერვალი
## 2006 წელს სამეცნიერო აპარატურის შესაძენად ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგები



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეორე სხდომაზე 2007 წლის 19 თებერვალს დასაფინანსებლად დამტკიცდა სამეცნიერო აპარატურის შესაძენად 2006 წლის 28 ივლისს — 10 ოქტომბერს ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგად გამოვლენილი განაცხადების რანჟირებული ნუსხა (სულ დაფინანსდა 5 პროექტი საერთო ბიუჯეტით 1,146,722 ლარი).

## 19 თებერვალი
## 2006 წელს ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგები



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეორე სხდომაზე 2007 წლის 19 თებერვალს დასაფინანსებლად დამტკიცდა ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად 2006 წლის 28 აგვისტო — 25 ოქტომბერს ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგად გამოვლენილი 5 განაცხადი, საერთო ბიუჯეტით 325,341 ლარი.

## 1-2 მარტი
## სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მოსამზადებელი სამუშაო სემინარები



2007 წლის 1 - 2 მარტს, საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ჩატარდა სამუშაო სემინარები სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების შესახებ. სემინარებზე მოწვეულ იყვნენ სხვადასხვა სფეროში მომუშავე მეცნიერები, რომლებმაც იმსჯელეს და განიხილეს 2007 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის საკითხები.

## 20 მარტი
## ფონდის სამეცნიერო საბჭოს III სხდომა




2007 წლის 20 მარტს ჩატარდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მესამე სხდომა, სადაც განიხილეს და დაამტკიცეს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2007 წლის კონკურსის პირობები და პროექტების შეფასების კრიტერიუმები.

## 28-30 მარტი
## სემინარი INTAS - სამხრეთ კავკასია 2007



2007 წლის 28-30 მარტს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და INTAS-ის ერთობლივი სემინარი - INTAS-სამხრეთ კავკასია 2007. სემინარზე განიხილეს ერთობლივი კონკურსის და ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო თანამშრომლობის პერსპექტივები.

## 28 მარტი - 1 აპრილი
## საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მმართველთა საბჭოსა და საკოორდინაციო კომიტეტის 42-ე სხდომა, რუსეთი, მოსკოვი

2007 წლის 28 მარტი - 1 აპრილის ჩათვლით ქ. მოსკოვში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მმართველთა საბჭოს 42-ე სხდომა, სადაც მივლინებული იყო საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომელი, სსტც-ს საკოორდინაციო კომიტეტის წევრი ბ-ნი ვახტანგ ალანია.

## 17-19 აპრილი
## საერთაშორისო ფორუმი, კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი



სესფ-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქ-მა ნათია ჯოხაძემ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმში, რომლის თემა იყო: „ცოდნის ეკონომიკა: ტექნოლოგიების გაზიარება და ცოდნის ქსელები“.

## 27 აპრილი
## საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო კვლევების და განვითარების ფონდის (CRDF) ერთობლივი პროგრამა



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო კვლევების და განვითარების ფონდი (CRDF) ახორციელებენ ერთობლივ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს „კავკასიის ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილის კვლევას თანამედროვე მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდებითა და ანალიტიკური საშუალებებით“. პროექტი ხორციელდება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## 23-27 აპრილი
## IUTAM-ის და ISAAC-ის საერთაშორისო კონფერენცია



2007 წლის 23-27 აპრილს ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩატარდა ი. ვეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შედგებოდა ორი საერთაშორისო ორგანიზაციის IUTAM-ის (Interntional Union of Theoretical and Applied Mechanics) სიმპოზიუმისა და ISAAC-ის (International Society of Analysis, Applications and Computation) კონფერენციისაგან. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 140-მა საერთაშორისო და ადგილობრივმა მეცნიერმა.

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტების გადაწყვეტილებით, დააჯილდოვა 6 საუკეთესო მოხსენების ავტორი დიპლომებითა და ფულადი პრემიით, სამი ISAAC-ის კონფერენციიდან და სამი IUTAM-ის სიმპოზიუმიდან.

## 1 მაისი
## საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალი პორტალი



2007 წლის 1 მაისს, საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში შედგა ფონდის ახალი პორტალის: www.gnsf.ge პრეზენტაცია. აღნიშნული პორტალი მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას ქართულ და ინგლისურ ენებზე მიიღოს უახლესი ინფორმაცია ფონდში გატარებული ღონისძიებებისა და გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსების შესახებ.

2007 წლიდან ახალი ვებ-გვერდი იძლევა სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის ელექტრონული რეგისტრაციის შესაძლებლობას, დისტანციური (on-line) რეჟიმით.

## 14 მაისი
## სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2007



2007 წლის 14 მაისს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი - 2007. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და ამით წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი. 2007 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში მონაწილეობდა 1015 საკონკურსო განაცხადი. რანჟირებული ნუსხის მიხედვით დასაფინანსებლად გამოვლინდა 108 პროექტი და დამატებით 31 პროექტი ქართველოლოგიურ, ჰუმანიტარულ და სოციოლოგიურ მეცნიერებებში.

## 21 მაისი - 15 ივნისი
## სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების საკონსულტაციო სემინარები



საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ჩაატარა საკონსულტაციო სემინარები სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2007 წლის კონკურსის პროგრამისა და პირობების გაცნობის მიზნით. საკონსულტაციო სემინარები ჩატარდა: ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბათუმში და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქუთაისში. ასევე 2007 წლის 21 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით საკონსულტაციო სემინარები იმართებოდა ყოველკვირეულად საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოფისში.

## 30 მაისი
## უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრისა (უსტც) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი კონკურსი



უსტც-ს მმართველთა საბჭოს 24-ე სხდომაზე დამტკიცდა უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრისა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წლის ერთობლივი კონკურსის - „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების“ შედეგები.

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების“ - კონკურსის შედეგად დაფინანსდა ქართველი მეცნიერების 7 პროექტი.

## 31 მაისი - 1 ივნისი
## ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა (NATO) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სემინარი



2007 წლის 31 მაისს - 1 ივნისს ჩატარდა NATO-სა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი საინფორმაციო-საკონსულტაციო სემინარი - „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საქართველოში“, რომელიც გაიმართა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სემინარი მიზნად ისახავდა ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობას NATO-ს სამეცნიერო პროგრამაში „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“.

## 18 ივნისი
## ბიზნეს-პარტნიორობის საგრანტო კონკურსი 2007

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ), აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდისა (CRDF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (GRDF) მიერ ერთობლივად გამოცხადდა ბიზნეს-პარტნიორობის საგრანტო კონკურსი. პროგრამის მიზანია კომპანიებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ქვეყნის საინოვაციო პოტენციალის ზრდა და ბიზნესზე ორიენტირებულ მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოებასთან.

## 28 ივნისი
## საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა (სესფ) და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს (ISTC) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი



2007 წლის 28 ივნისს, ქ. მოსკოვში სესფ-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქნ-მა ნათია ჯოხაძემ და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (სსტც) აღმასრულებელმა დირექტორმა, ბნ-მა ნობერ ჟუსტენმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დასაბამს აძლევს ამ ორგანიზაციებს შორის ორმხრივად საინტერესო მაღალტექნოლოგიური საქმიანობის, პროექტების, ინიციატივების დადგენასა და შერჩევას მათი კომერციალიზაციის მხარდაჭერის მიზნით.

## 31 ივლისი
## ფონდის სამეცნიერო საბჭოს IV სხდომა



2007 წლის 31 ივლისს ჩატარდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეოთხე სხდომა, სადაც განიხილეს და დაამტკიცეს უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრისა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად გამოვლენილი 7 პროექტი, ასევე განიხილეს სამეცნიერო პროგრამების დაფინანსებისა და ადმინისტრირების საკითხები.

## 3 აგვისტო
## აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF) საკონსულტაციო სემინარი საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატისთვის



2007 წლის 3 აგვისტოს, საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (GRDF) ოფისში ჩატარდა საკონსულტაციო სემინარი აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის წარმომადგენლების (CRDF) მიერ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატისთვის. სემინარი მიზნად ისახავდა მეცნიერების მენეჯმენტისა და სამეცნიერო კონკურსების ორგანიზების საკითხებში აშშ-ს და უშუალოდ CRDF-ის გამოცდილების გაზიარებას ქართველი კოლეგებისათვის.

## 10 აგვისტო
## ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (სესფ), აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა (GRDF) გამოაცხადეს კონკურსი: „ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა“. პროგრამის მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების დახმარება კარიერის საწყის ეტაპზე, მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, საქართველოში მეცნიერის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლების ხელშეწყობა და აშშ-საქართველოს თანამშრომლობის გაძლიერება.

17 სექტემბერი
## კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2007 წლის 17 სექტემბერს გამოაცხადეს კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსის მიზანია იმ ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება, რომლებიც მუშაობენ ან/და სწავლობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებების განხრით და თავს იჩენენ აქტიური სამეცნიერო საქმიანობით.

17 სექტემბერი
## კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად




საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2007 წლის 17 სექტემბერს გამოაცხადეს კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსის მიზანია იმ ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება, რომლებიც მუშაობენ ან/და სწავლობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკის, მექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით და თავს იჩენენ აქტიური სამეცნიერო საქმიანობით.

26-27 სექტემბერი
## საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (ISTC) კონფერენცია



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქნ-მა ნათია ჯოხაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის (ISTC) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში: „საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშეწყობა“. კონფერენციაზე ქნ-მა ნ. ჯოხაძემ წარადგინა პრეზენტაცია, სადაც აღწერილი იყო სესფ-ის საქმიანობა და გეგმები მეცნიერების კომერციალიზაციასთან დაკავშირებით.

## 01 ოქტომბერი
## კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად



საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2007 წლის 1 ოქტომბერს გამოაცხადა ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყანაში მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით.

## 8-11 ოქტომბერი
## ნობელის პრემიის ლაურეატი საქართველოში




8-11 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პარტნიორობით ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიხსნა პირველი საერთაშორისო კონფერენცია - „მაღალტემპერატურული ზეგამტარობა, თავდაპირველი კონცეფცია და ახალი შედეგები“. კონფერენცია მიეძღვნა ნობელის პრემიის ლაურეატის ალექს მიულერის 80 წლის იუბილეს და ალექს მიულერის და გეორგ ბედნორცისთვის მაღალტემპერატურული ზეგამტარობის აღმოჩენისათვის ნობელის პრემიის მინიჭების 20 წლისთავს.
ნობელის პრემიის ლაურეატის, გეორგ ბედნორცის გარდა კონფერენციაზე მოხსენება წაიკითხეს მსოფლიოს 15 ქვეყნის ორმოცამდე აღიარებულმა მეცნიერებმა ფიზიკის დარგში.

## 15-19 ოქტომბერი
## საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ქ-ნი ნათია ჯოხაძის ვიზიტი ბაქოში




საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქნ-მა ნათია ჯოხაძემ მონაწილეობა მიიღო უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის (STCU) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მოხსენებით: „საქართველოში მეცნიერების დაფინანსება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა“.

## 22 ოქტომბერი
### ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა (NATO) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი პუბლიკაცია



2007 წლის 31 მაისს - 1 ივნისს ჩატარებული NATO-სა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი საინფორმაციო-საკონსულტაციო სემინარის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ მოხსენებების კრებული ქართულ და ინგლისურ ენებზე, ტირაჟით 500 ეგზემპლარი.

ცნობარში შევიდა NATO-ს „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ საინფორმაციო-საკონსულტაციო სემინარზე მონაწილე მომხსენებელთა პრეზენტაციის სლაიდები და რეზიუმეები.

## 30-31 ოქტომბერი
### შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ქვეყნების მეცნიერებისა და განათლების მინისტრების და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა



ქალაქ სტამბულში გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების მეცნიერებისა და განათლების მინისტრებისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქნ-მა ნათია ჯოხაძემ.

## 31 ოქტომბერი
### ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის (TACIS) საინფორმაციო მასალების პუბლიკაცია



2007 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ესტონეთის სამეცნიერო ფონდის „არქიმედეს“ მიერ 2006 წლის აგვისტოდან დაწყებული ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეცნიერების ადმინისტრირების ეფექტური მოდელის შექმნა: ევროკავშირის გამოცდილების მიმოხილვა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მეცნიერების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება“ განხორციელება. პროექტის ფარგლებში წიგნების სახით გამოიცა შესაბამისი საინფორმაციო მასალები ქართულ ენაზე საერთო ტირაჟით 400 ეგზემპლარი.

## 05 ნოემბერი
## სესფ-სა და უსტც-ს ერთობლივი მეორე კონკურსი - 2008

2007 წლის 5 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა ცენტრმა ერთობლივად გამოაცხადეს მეორე კონკურსი „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის ფარგლებში.

**კონკურსი მოიცავს სამ სფეროს:**

1. ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ;
2. ენერგოეფექტურობა;
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

## 21 ნოემბერი
## ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო კონკურსი 2008



2008 წლის 21 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო კონკურსი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნულ კონკურსში 2008 წლიდან მონაწილეობა უკვე შეუძლიათ არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სექტორში მომუშავე მეცნიერებსაც.

## 06 დეკემბერი
## საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (ISTC) მმართველთა საბჭოს 44-ე შეხვედრა, რუსეთი, მოსკოვი

2007 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქნ-მა ნათია ჯოხაძემ მონაწილეობა მიიღო ქალაქ მოსკოვში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მმართველთა საბჭოს 44-ე შეხვედრაში. სხდომაზე განიხილეს ცენტრის საქმიანობა, დაამტკიცეს დასაფინანსებლად შერჩეული პროექტები და დასახეს სამომავლო მუშაობის გეგმები.

## 10 დეკემბერი
## საქმეწარმეო კონფერენცია სასტუმრო თბილისი-მერიოტის საკონფერენციო დარბაზში



2007 წლის 10 დეკემბერს, სასტუმრო „თბილისი — მერიოტის" საკონფერენციო დარბაზში, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ), აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდისა (CRDF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (GRDF) პარტნიორობით, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) ფარგლებში გაიმართა 12 საუკეთესო პროექტის ბიზნეს წინადადებების პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ როგორც მეცნიერთა ჯგუფები, ასევე იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ პროექტებში როგორც პარტნიორები.

## 28 დეკემბერი
## ახალგაზრდა მეცნიერთა საზეიმო დაჯილდოება



2007 წლის 28 დეკემბერს, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით გაიმართა სესფ-ის 2007 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამების: „ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიების", „ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიების" და „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების" მიმღებთა საზეიმო დაჯილდოება.

საზეიმო დაჯილდოება სიტყვით გახსნეს და ახალგაზრდა მეცნიერებს გამარჯვება მიულოცეს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ქალბატონმა მაია მიმინოშვილმა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა ქალბატონმა ნათია ჯოხაძემ.

# საქმიანობა

III

## 1. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი 2007

**საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2007 წლის 14 მაისს გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მეორე კონკურსი (2007).**

1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი წარმოადგენს მეცნიერების რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.

2. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია, ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე გამოავლინოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და ამით წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი.

### 1.1. რეგისტრირებული პროექტები

კონკურსში მონაწილეობდა 1015 პროექტი — ფონდის მიერ წინასწარ გამოცხადებული რვა სამეცნიერო მიმართულებით.

*გრაფიკი 1.*

*რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით 2006 და 2007 წლებში*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

პროექტები წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ორგანიზაციების მიერ.

*გრაფიკი 2.*
*კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება მონაწილე ორგანიზაციების იურიდიული სტატუსის მიხედვით (სულ 748 პროექტი, 3 — 8 სამეცნიერო მიმართულება)*




კონკურსში პროექტები წარმოდგენილი იყო მეცნიერთა ჯგუფების მიერ, ხოლო გრანტის მიმღები ორგანიზაცია შეიძლებოდა ყოფილიყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან არასამთავრობო ორგანიზაცია.

*გრაფიკი 3.*
*კონკურსში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება მათი ინსტიტუციური ფორმის მიხედვით (სულ 147 ორგანიზაცია)*




რეგისტრირებული პროექტების საერთო მოთხოვნილმა თანხამ სამი წლის მანძილზე შეადგინა 77,020,397.58 ლარი. მიმართულებათა მიხედვით მოთხოვნილი თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა:

*გრაფიკი 4.*
*რეგისტრირებული პროექტების მოთხოვნილი თანხების გადანაწილება 3 - 8 სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 5.*
*რეგისტრირებული პროექტების მოთხოვნილი თანხების პროცენტული გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით 2006 და 2007 წლებში*




ფონდის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, საკონკურსო პროექტების ხანგრძლივობა განისაზღვრება 6-დან 36 თვემდე. რეგისტრირებული პროექტების დიდი ნაწილი 24-თვიან პერიოდზე იყო გათვლილი.

*გრაფიკი 6.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება პროექტების ხანგრძლივობის მიხედვით (სულ 748 პროექტი, 3 — 8 სამეცნიერო მიმართულება)*




სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, თითოეული პროექტისათვის მოთხოვნილი თანხა წელიწადში უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 50 000 ლარისა, ხოლო ორ და სამ-წლიან პროექტებზე, შესაბამისად, არაუმეტეს 100 000 და 150 000 ლარისა.

*გრაფიკი 7.*
*რეგისტრირებული პროექტების მოთხოვნილი თანხა და თანხის პროცენტული გადანაწილება მათი ხანგრძლივობის მიხედვით*




*გრაფიკი 8.*
*რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება სხვა კონკურსებში მონაწილეობის მიხედვით*
*(3 - 8 სამეცნიერო მიმართულებაში)*




*გრაფიკი 9.*
*რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება თანამონაწილე ორგანიზაციების რაოდენობის მიხედვით*
*(3 - 8 სამეცნიერო მიმართულებაში)*



*გრაფიკი 10.*
*რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება კვლევის სამეცნიერო კატეგორიის მიხედვით*
*(3 - 8 სამეცნიერო მიმართულებაში)*




*გრაფიკი 11.*
*პროექტების რაოდენობა, სადაც პროექტის მენეჯერი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ერთი და იგივე პირია.*










სესფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა

## 1.2. კონკურსის შედეგები

პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 946 უცხოელმა ექსპერტმა (3 - 8 სამეცნიერო მიმართულებებში).

*გრაფიკი 12.*
*პროექტების შეფასებაში მონაწილე უცხოელი ექსპერტების რაოდენობა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (სულ 946 უცხოელი ექსპერტი)*




3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

ყველაზე მეტი უცხოელი ექსპერტი მონაწილეობდა **სიცოცხლის შემსწავლელი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების** მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში, ყველაზე ნაკლები **აგრარული მეცნიერებების** მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში.

*გრაფიკი 13.*
*რეგისტრირებული პროექტების შეფასებაში უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა 2006 და 2007 წლებში*




2007 წელს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა უზრუნველყო პროექტების 90,9%-იანი საერთაშორისო შეფასება.

*ცხრილი 1.*
*შეფასებულ პროექტებში უცხოელი ექსპერტების რაოდენობა პროექტზე სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.*

| № | სამეცნიერო მიმართულება | პროექტების რაოდენობა | უცხოელი ექსპერტების რაოდენობა პროექტზე | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 ექსპერტი | 2 ექსპერტი | 3 ექსპერტი |
| 3. | მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები | 70 | 14 | 11 | 45 |
| 4. | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | 127 | 10 | 56 | 61 |
| 5. | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | 118 | 14 | 52 | 52 |
| 6. | სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებანი | 147 | 21 | 65 | 61 |
| 7. | საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები | 130 | 30 | 72 | 28 |
| 8. | აგრარული მეცნიერებანი | 88 | 66 | 22 | - |
| | სულ | 680 | 155 | 278 | 247 |

პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 56 ქართველმა ექსპერტმა (3 - 8 სამეცნიერო მიმართულებებში).

*გრაფიკი 14*
*პროექტების შეფასებაში მონაწილე ქართველი ექსპერტების რაოდენობა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (სულ 56 ქართველი ექსპერტი)*




3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 15.*
*რეგისტრირებული პროექტების შეფასებაში ქართველი ექსპერტების მონაწილეობა 2006 და 2007 წლებში*



ყველაზე მეტი ქართველი ექსპერტი მონაწილეობდა **აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში, ყველაზე ნაკლები **მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიების** მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში.

*გრაფიკი 16.*
*რეგისტრირებული პროექტების შეფასებაში ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობის სტატისტიკა 2006 და 2007 წლებში*




კონკურსის შედეგად ექსპერტების შეფასებების საფუძველზე მიღებული ქულების მიხედვით, ფონდის მიერ წინასწარშემუშავებულ ქულათა ჯგუფში პროექტები ჯამურად შემდეგნაირად გადანაწილდა:

*გრაფიკი 17.*
*შეფასებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება მიღებული ქულების მიხედვით* (სულ 748 პროექტი)*










სესფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა

**(ქულები: ცუდი — 0-40; საშუალო — 41-79; კარგი — 80-100)*

თითოეული სამეცნიერო მიმართულების მიხედვით პროექტების მიერ მიღებული ქულები შემდეგნაირად გადანაწილდა:

*გრაფიკი 17.3 — 17.8*
*შეფასებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება მიღებული ქულების მიხედვით თითოეულ სამეცნიერო მიმართულებაში*

*17.3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები (სულ 70 პროექტი)*




*17.4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (სულ 130 პროექტი)*




*17.5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო (სულ 118 პროექტი)*




*17.6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები (სულ 149 პროექტი)*




*17.7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები (სულ 142 პროექტი)*




*17.8. აგრარული მეცნიერებები (სულ 139 პროექტი)*




შეფასების შედეგად პროცენტულად ყველაზე მაღალი ქულები (კარგი — 80-100 ქულა) მიიღეს სიცოცხლის შემსწავლელ (13.1%) და საინჟინრო (12.43%) მეცნიერებებში წარმოდგენილმა პროექტებმა.

*გრაფიკი 18.*
*რეგისტრირებული პროექტების საშუალო ქულა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (3 - 8 სამეცნიერო მიმართულებებში)*




3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

## 1.3. დაფინანსებული პროექტები

კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩა და დამტკიცდა 108 უმაღლესქულიანი პროექტი (3 - 8 სამეცნიერო მიმართულებებში), შემოსული პროექტების რაოდენობის 14,44%. დაფინანსებული პროექტების მიერ მიღებული ქულები მერყეობდა 89,5-დან 100 ქულამდე.

*გრაფიკი 19.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით 2006 და 2007 წლებში*




3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 20.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება ორგანიზაციების იურიდიული სტატუსის მიხედვით (სულ 36 ორგანიზაცია)*




დაფინანსებული პროექტების სრული ბიუჯეტი შეადგენს 11,790,232.32 ლარს 2008, 2009 და 2010 წლებში.

*ცხრილი 2.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა გათვალისწინებით*

| № | **სამეცნიერო მიმართულება** | **პროექტების რაოდენობა** | **ბიუჯეტი** |
|---|---|---|---|
| 3 | მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები | 10 | 1 069 147.36 |
| 4 | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | 20 | 2 434 878.00 |
| 5 | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | 17 | 1 987 771.00 |
| 6 | სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებანი | 26 | 2 932 384.52 |
| 7 | საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები | 21 | 2 125 623.44 |
| 8 | აგრარული მეცნიერებანი | 14 | 1 240 428.00 |
| | **სულ** | 108 | 11 790 232.32 |

*გრაფიკი 21.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება 2008, 2009 და 2010 წლებში მოთხოვნილი ბიუჯეტის მიხედვით.*



*ცხრილი 3.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობა ორგანიზაციებისა და მოთხოვნილი ბიუჯეტის მიხედვით*
*(3 — 8 სამეცნიერო მიმართულებებში)*

| № | ორგანიზაციების დასახელება | პროექტების რაოდენობა | მოთხოვნილი თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | ივ. ჯავახიშვილის თსუ (მათ შორის: მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტი — 2 პროექტი) | 16 | 2027886.00 |
| 2 | ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მათ შორის: საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია — 4 პროექტი) | 10 | 1262284.00 |
| 3 | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | 3 | 255590.00 |
| 4 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 7 | 585391.44 |
| 5 | საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი | 5 | 500415.00 |
| 6 | აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 5 | 505718.00 |
| 7 | შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2 | 220778.00 |
| 8 | ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი | 4 | 484268.00 |
| 9 | ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი | 5 | 700000.00 |
| 10 | სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი | 1 | 147924.00 |
| 11 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | 2 | 202333.38 |
| 12 | ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი | 1 | 93328.00 |
| 13 | კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი | 2 | 183220.00 |
| 14 | ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი | 1 | 60000.00 |
| 15 | რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი | 3 | 297278.00 |
| 16 | მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი | 2 | 154230.00 |
| 17 | სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი | 1 | 72000.00 |
| 18 | აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი | 1 | 111535.00 |
| 19 | ნ.კეცხოველის ბოტანიკის ინსტიტუტი, თბილისის ბოტანიკური ბაღი | 2 | 210000.00 |
| 20 | ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი | 2 | 170000.00 |
| 21 | საქართველოს სახელმწიფო ზოოლოგიის ინსტიტუტი | 1 | 92680.50 |
| 22 | ალ.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი | 4 | 542925.00 |
| 23 | ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი | 1 | 100000.00 |
| 24 | ალ. თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი | 1 | 125000.00 |
| 25 | გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი | 2 | 117342.00 |
| 26 | საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი | 3 | 264318.00 |
| 27 | ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | 6 | 762380.00 |
| 28 | ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება. | 1 | 94936.00 |
| 29 | მებაღეობა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი | 5 | 392524.00 |
| 30 | სეისმური მონიტორინგის ცენტრი | 3 | 315436.00 |
| 31 | სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი | 1 | 142200.00 |
| 32 | საქართველოს ა. ლაჭყეპიანის სახ. ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაცია | 1 | 100000.00 |
| 33 | არასამთავრო ორგანიზაცია - კავშირი ,,კარიბჭე“ | 1 | 150000.00 |
| 34 | საქართველოს კლინიკურ პათოლოგთა ასოციაცია | 1 | 110000.00 |
| 35 | კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“ | 1 | 136312.00 |
| 36 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი | 1 | 100000.00 |
| | **სულ** | 108 | 11 790 232.32 |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

არასამთავრობო ორგანიზაციები

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები

სხვა

*ცხრილი 4.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობა რეგიონებში ორგანიზაციების მიხედვით*
*(3 — 8 სამეცნიერო მიმართულებაში)*

| № | ორგანიზაციის დასახელება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 5 |
| 2. | შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2 |
| 3. | ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი | 1 |
| | **სულ** | **8** |

*გრაფიკი 22.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება მათი ხანგრძლივობის მიხედვით*




*ცხრილი 5.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობა მათი ხანგრძლივობის მიხედვით.*

| № | სამეცნიერო მიმართულება | პროექტების რაოდენობა | ხანგრძლივობა (კვარტალი) | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 3 | მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები | 10 | | | | | | | 6 | | 1 | | 3 |
| 4 | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | 20 | | | 1 | | | | 6 | | | | 13 |
| 5 | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | 17 | | | | | | 1 | 5 | | 3 | | 8 |
| 6 | სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებანი | 26 | | | 1 | | 2 | | 8 | 1 | 4 | 1 | 9 |
| 7 | საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები | 21 | | | 2 | | 1 | | 12 | | | | 6 |
| 8 | აგრარული მეცნიერებანი | 14 | 1 | 1 | | | | | 7 | | 1 | | 4 |

დაფინანსებულ პროექტებში ძირითადი პერსონალის რაოდენობა შეადგენს 580 მეცნიერს.

*ცხრილი 6.*
*დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა გათვალისწინებით*

| № | სამეცნიერო მიმართულება | ძირითადი პერსონალის რაოდენობა | ასაკობრივი ჯგუფები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 30-მდე | 30-39 | 40-49 | 50-59 | 60-69 | 70+ |
| 3. | მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები | 57 | 3 | 5 | 11 | 17 | 16 | 5 |
| 4. | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | 108 | 8 | 16 | 19 | 29 | 26 | 10 |
| 5. | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | 89 | 11 | 13 | 15 | 20 | 15 | 15 |
| 6. | სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებანი | 141 | 8 | 36 | 34 | 29 | 29 | 5 |
| 7. | საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები | 114 | 2 | 9 | 17 | 35 | 41 | 10 |
| 8. | აგრარული მეცნიერებანი | 71 | 1 | 10 | 9 | 25 | 18 | 8 |
| | **სულ** | 580 | 33 | 89 | 105 | 155 | 145 | 53 |

*გრაფიკი 23.*
*დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის ჯამური რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2006 და 2007 წლებში (3 — 8 სამეცნიერო მიმართულებაში)*




*გრაფიკი 24.*
*დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის ჯამური რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2007 წელს ( 3 — 8 სამეცნიერო მიმართულება)*



*გრაფიკი 25.*
*დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით (სულ 580)*




*გრაფიკი 26.*
*დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის რაოდენობრივი გადანაწილება სქესის მიხედვით მიმართულებათა გათვალისწინებით*




3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 27.*
*დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის რაოდენობრივი გადანაწილება სქესის მიხედვით მიმართულებათა გათვალისწინებით 2006 და 2007 წლებში*






*გრაფიკი 28.*
*დაფინანსებული პროექტებში მონაწილე 35 წლამდე ასაკის მეცნიერების რაოდენობრივი გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (სულ 89 მეცნიერი)*




3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 29.*
*დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე 35 წლამდე ასაკის პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მენეჯერების რაოდენობა*

*ხელმძღვანელები*




*მენეჯერები*




დაფინანსებულ პროექტებს შორის 22 პროექტი არის ერთობლივი-ჯგუფური პროექტი, აქედან, 15 წარმოადგენს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ერთობლივ პროექტს.

*გრაფიკი 30.*
*ჯგუფური პროექტების წილი დაფინანსებულ პროექტებში*



*გრაფიკი 31.*
*უნივერსიტეტების და კვლევითი ინსტიტუტების პარტნიორობა*




სულ დაფინანსებული პროექტები მოექცა 69 სამეცნიერო ქვემიმართულებაში, რაც შეადგენს არსებული 199 სამეცნიერო ქვემიმართულების 34.67%. დეტალური კლასიფიკატორის მიხედვით, დაფინანსებული პროექტები შემდეგნაირად გადანაწილდა (3 — 8 სამეცნიერო მიმართულებაში):

*ცხრილი 7.3-7.8.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობა დეტალური კლასიფიკატორის მიხედვით.*

*7.3.*

| № | კოდი | სამეცნიერო ქვემიმართულება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები | | | |
| 1 | 3-100 | მათემატიკური ანალიზი | 3 |
| 2 | 3-101 | დიფერენციალური განტოლებები | 1 |
| 3 | 3-102 | მათემატიკური ფიზიკა | 1 |
| 4 | 3-104 | ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა | 1 |
| 5 | 3-105 | მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია | 1 |
| 6 | 3-109 | უწყვეტ გარემოთა მექანიკა | 1 |
| 7 | 3-111 | მათემატიკური მოდელირება | 1 |
| 8 | 3-113 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | 1 |

*7.4.*

| № | კოდი | სამეცნიერო ქვემიმართულება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | | | |
| 9 | 4-100 | თეორიული ფიზიკა | 3 |
| 10 | 4-130 | მყარი სხეულების და კვანტური სითხეების ფიზიკა | 2 |
| 11 | 4-140 | პლაზმის ფიზიკა და ქიმია | 1 |
| 12 | 4-160 | ნახევარგამტარების და დიელექტრიკების ფიზიკა | 2 |
| 13 | 4-200 | ატომბირთვისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა | 1 |
| 14 | 4-270 | მაღალი ენერგიების ფიზიკა | 2 |
| 15 | 4-280 | არატრადიციული ენერგეტიკის ფიზიკურ-ტექნიკური საფუძვლები | 1 |
| 16 | 4-300 | ასტროფიზიკა | 2 |
| 17 | 4-320 | მაღალი ენერგიების ასტრო ფიზიკა | 1 |
| 18 | 4-420 | ორგანული ქიმია | 1 |
| 19 | 4-440 | ელექტროქიმია | 1 |
| 20 | 4-450 | მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია | 2 |
| 21 | 4-520 | კომპოზიციური მასალების ქიმია | 1 |

*7.5.*

| № | კოდი | სამეცნიერო ქვემიმართულება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | | | |
| **22** | 5-110 | მეტეოროლოგია | 1 |
| **23** | 5-140 | სეისმოლოგია | 1 |
| **24** | 5-150 | გეოლოგია | 1 |
| **25** | 5-151 | საინჟინრო გეოლოგია | 1 |
| **26** | 5-152 | საბადოების გეოლოგია, ძებნა და ძიება | 2 |
| **27** | 5-160 | გეოფიზიკა | 1 |
| **28** | 5-170 | გეოქიმია | 1 |
| **29** | 5-180 | ჰიდროლოგია | 1 |
| **30** | 5-190 | ატმოსფეროს ფიზიკა | 2 |
| **31** | 5-210 | დაბინძურება და აღდგენა | 1 |
| **32** | 5-240 | გარემოს მონიტორინგი და შეფასება | 4 |
| **33** | 5-250 | გარემოს დაცვის ტექნოლოგიები | 1 |

*7.6.*

| № | კოდი | სამეცნიერო ქვემიმართულება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებანი | | | |
| **34** | 6-100 | ზოგადი ბიოლოგია | 1 |
| **35** | 6-110 | ზოოლოგია | 2 |
| **36** | 6-180 | ბიოინფორმატიკა | 1 |
| **37** | 6-222 | ნეიროქიმია | 1 |
| **38** | 6-223 | ენზიმოლოგია | 1 |
| **39** | 6-230 | ბიოფიზიკა | 1 |
| **40** | 6-250 | ბიოტექნოლოგია | 2 |
| **41** | 6-270 | ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია | 3 |
| **42** | 6-274 | ზოგადი ნეიროფიზიოლოგია | 1 |
| **43** | 6-275 | ინტეგრატიული ნეიროფიზიოლოგია | 2 |
| **45** | 6-276 | თავის ტვინის უმაღლესი ფუნქციების ფიზიოლოგია | 1 |
| **46** | 6-302 | ენდოკრინოლოგია | 1 |
| **47** | 6-308 | პედიატრია | 2 |
| **48** | 6-314 | ონკოლოგია | 1 |
| **49** | 6-335 | ალერგოლოგია, იმუნოლოგია | 3 |
| **50** | 6-339 | ტრანსპლანტოლოგია და ხელოვნური ორგანოები | 2 |
| **51** | 6-341 | კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა | 1 |

7.7.

| № | კოდი | სამეცნიერო ქვემიმართულება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები | | | |
| **52** | 7-100 | მშენებლობა | 2 |
| **53** | 7-104 | სამშენებლო მასალები და ნაკეთობები | 1 |
| **54** | 7-105 | ჰიდროტექნიკური და მელიორაციული მშენებლობა | 1 |
| **55** | 7-109 | ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია | 1 |
| **56** | 7-120 | მანქანათმშენებლობა და მანქანათმცოდნეობა | 1 |
| **57** | 7-121 | მასალათმცოდნეობა | 3 |
| **58** | 7-192 | შავი, ფერადი და იშვიათი ლითონების მეტალურგია | 2 |
| **59** | 7-200 | ქიმიური ტექნოლოგია | 3 |
| **60** | 7-210 | სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია | 3 |
| **61** | 7-220 | საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მასალათა ნაწარმის ტექნოლოგია | 4 |

7.8.

| № | კოდი | სამეცნიერო ქვემიმართულება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 8. აგრარული მეცნიერებანი | | | |
| **62** | 8-100 | აგრონომია | 1 |
| **63** | 8-101 | მცენარეთა დაცვა | 2 |
| **64** | 8-102 | სელექცია, გენეტიკა | 2 |
| **65** | 8-110 | ზოოტექნიკა | 2 |
| **66** | 8-130 | ვეტერინარია | 1 |
| **67** | 8-150 | საკვების ხარისხი და უსაფრთხოება | 4 |
| **68** | 8-160 | აგრობიოტექნოლოგია | 1 |
| **69** | 8-170 | სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია | 1 |









სესფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა

## 1.4. 2006 წელს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი

2007 წელს მიმდინარეობდა სესფ-ის პირველი, 2006 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 113 პროექტის I-V კვარტლებით გათვალისწინებული სამუშაოების მონიტორინგი.

საანგარიშო წელს პროექტებში განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები: სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები, სადემონსტრაციო დღეები. მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნდა სტატიები, რომლებიც შეიქმნა გრანტით დაფინანსებული კვლევების შედეგად.

**სამეცნიერო კონფერენციები:** „საქართველო და გარე სამყარო“, „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“, საერთაშორისო და და ადგილობრივი მნიშვნელობის კონფერენციებზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ფუნქციური ჯგუფების შემცველი მონომერების ბაზაზე ახალი ორგანო/არაორგანული პოლიმერების სინთეზი“, „ალგებრული და ტოპოლოგიური სტრუქტურები ჰომოტოპიურ და კატეგორიულ ალგებრაში, K-თეორიასა და ციკლურ ჰომოლოგიაში“, „ას წელს გადაცილებულ კოდორელ სვანთა მეტყველების ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის შედეგები და მათი მიმართება ენგურის ხეობის მოსახლეობის მეტყველებასთან“.

**სამეცნიერო სემინარები:** „ელექტრომაგნიტური დაბინძურება და ჯანმრთელობის უსაფრთხოების გამოკვლევა“, „პერსონალური საკომუნიკაციო სისტემების მეტალო-დიელექტრიკულ ანტენათა გამოკვლევა ელექტრომაგნიტური შემთავსებლობის და მომხმარებლის ჯანმრთელობის მაქსიმალური უსაფრთხოების თანამედროვე





სესფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა

ნორმების შესაბამისად“, „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“, „სასაზღვრო და საკონტაქტო ამოცანები დრეკადობის თეორიის განზოგადებული მოდელებისათვის“, „უწყვეტ ტანთა მექანიკის ზოგიერთი მათემატიკური პრობლემა“, „იზოპლანარული სტრუქტურები: ტექნოლოგია, პარამეტრები, გამოყენება“, „ანტიპროტონების ფიზიკა და პროტონის სტრუქტურა“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“, „საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში“, „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება“.

**სადემონსტრაციო დღე** ჩატარდა პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკაში პროექტის — „იოდიზირებული ახალი საკვებდანამატის (პრემიქსის) გამოყენების პერსპექტივები მეფრინველეობაში“ – ფარგლებში.

**2006 წელს დაფინანსებული 113 პროექტის შედეგად შეძენილი იყო სხვადასხვა ტიპის საოფისე აპარატურა** (მათ შორის: კომპიუტერები, სკანერები, ქსეროქსები, პრინტერები, პროექტორები, დიქტოფონები და სხვ.) **და სამეცნიერო აპარატურა.**

*ცხრილი 8.*
*2006 წელს დაფინანსებული 113 პროექტის შედეგად შეძენილი რესურსები*

| № | აპარატურა | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | საოფისე აპარატურა | 327 |
| 2. | საოფისე ინვენტარი | 172 |
| 3. | სამეცნიერო აპარატურა | 110 |



სესფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა

# 2. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო კონკურსი 2007

**საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2007 წლის 30 იანვარს გამოაცხადა კონკურსი სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოკლევადიან ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებზე.**

მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერებისა და მეცნიერების პოლიტიკაზე მომუშავე პირების მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს ქართველი კოლეგების საერთაშორისო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეებმა, ახალგაზრდა მეცნიერებმა და მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა.

სულ კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირდა 171 განაცხადი 37 ქვეყანაში დაგეგმილ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად.

*გრაფიკი 1.*
*დარეგისტრირებული განაცხადების ავტორთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით*













# შედეგები

კონკურსის ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა წარმოდგენილი განაცხადების 48.5% სულ 83 მეცნიერი (2007 წლის მარტიდან — დეკემბრის ჩათვლით).

ქართველ მეცნიერებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ 31 ქვეყანაში დაგეგმილ სამეცნიერო ფორუმში.

*გრაფიკი 2.*
*კონკურსის შედეგად დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა ღონისძიების ჩატარების ქვეყნის მიხედვით*



# სტატისტიკა 2006 - 2007

*გრაფიკი 3.*
*რეგისტრირებული და დაფინანსებული განაცხადების შედარება 2006 და 2007 წლებში.*




*გრაფიკი 4.*
*რეგისტრირებული და დაფინანსებული განაცხადების დინამიკა 2006 და 2007 წლებში.*




*გრაფიკი 5.*
*დაფინანსებული განაცხადების ავტორთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით*




*გრაფიკი 6.*
*დაფინანსებული განაცხადების ავტორთა ასაკობრივი გადანაწილება*



*გრაფიკი 7.*
*დაფინანსებული განაცხადების ავტორთა ასაკობრივი გადანაწილება სქესის მიხედვით*




საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ შემუშავებული ცნობარის მიხედვით სამოგზაურო გრანტის მისაღებად აუცილებელი პირობა იყო საერთაშორისო ღონისძიებაში მოხსენებით გამოსვლა და/ან სასტენდო მოხსენების პრეზენტაცია.

სულ 83 დაფინანსებული მეცნიერიდან ფორუმებზე ზეპირი მოხსენებით წარსდგა 71, ხოლო სასტენდო მოხსენება წარადგინა 12-მა მეცნიერმა.

*გრაფიკი 8.*
*დაფინანსებული განაცხადების ავტორთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ღონისძიებაზე მომხსენებლის სტატუსის მიხედვით*












# 3. ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები

## 3.1. საგრანტო კონკურსი სამეცნიერო აპარატურის შესაძენად

სამეცნიერო აპარატურის შესაძენად ჩატარებული საგრანტო კონკურსის მიზანს წარმოადგენს საქართველოში თანამედროვე აპარატურაზე სამეცნიერო ჯგუფების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება და ამით, ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება. ეროვნული სამეცნიერო ფონდი ხელს უწყობს როგორც საგრანტო კონკურსში მონაწილე, ისე ყველა სხვა დაინტერესებულ უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, აქტიურად ითანამშრომლონ იმ ორგანიზაციებთან, სადაც განთავსებულია კონკურსის შედეგად დაფინანსებული სამეცნიერო ცენტრები და მათთვის საჭირო აპარატურა.

### შედეგები

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეორე სხდომაზე 2007 წლის 19 თებერვალს დასაფინანსებლად დამტკიცდა სამეცნიერო აპარატურის შესაძენად 2006 წლის 28 ივლისს — 10 ოქტომბერს ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგად გამოვლენილი განაცხადების რანჟირებული ნუსხა, ხოლო 2007 წლის ბიუჯეტის ფარგლებში დასაფინანსებლად შეირჩა პირველი 5 განაცხადი.

სამეცნიერო აპარატურის შესაძენად, რანჟირებული სიის მიხედვით, განაწილდა საგრანტო კონკურსისათვის განსაზღვრული თანხა **1,146,722** ლარის ოდენობით.

| № | ორგანიზაცია | ბიუჯეტი |
|---|---|---|
| 1 | ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 220 873 |
| 2 | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 419 722 |
| 3 | სსიპ „თბილწყალგეო“/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 136 641 |
| 4 | ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | 267 775 |
| 5 | ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | 101 711 |
| | **სულ** | **1 146 722** |





## 3.2. საგრანტო კონკურსი ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად

საგრანტო კონკურსი „გრანტები ბიბლიოთეკებისთვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად“ მიზნად ისახავდა ს.ს.ი.პ. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებისათვის თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შეძენის დაფინანსებას. ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შეძენა დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

### შედეგები

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეორე სხდომაზე 2007 წლის 19 თებერვალს დასაფინანსებლად დამტკიცდა ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად 2006 წლის 28 აგვისტო — 25 ოქტომბერს ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგად გამოვლენილი 5 განაცხადი.

ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად, რანჟირებული სიის მიხედვით, განაწილდა საგრანტო კონკურსისათვის განსაზღვრული თანხა **325,341** ლარის ოდენობით. სულ კონკურსის ფარგლებში შეძენილი იყო 5000-მდე დასახელების სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდული გამოცემა. გრანტის სახსრებით, უნივერსიტეტებმა აგრეთვე, შეიძინეს სამეცნიერო პერიოდული გამოცემების ელექტრონული ბაზები.

### განაცხადების დამტკიცებული რანჟირებული ნუსხა

| № | წარმდგენი ორგანიზაციის დასახელება | ბიუჯეტი |
|---|---|---|
| 1. | ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 96 980 |
| 2. | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | 85 690 |
| 3. | ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 97 800 |
| 4. | ბათუმის საზღვაო აკადემია | 18 640 |
| 5. | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 26 231 |
| | **სულ** | **325 341** |

გრანტის ფარგლებში დაფინანსებული ლიტერატურა საშუალებას მისცემს პედაგოგებს, მეცნიერებსა და სტუდენტებს გაეცნონ თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიკაციებს.






# 4. ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამები

## 4.1. კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ერთობლივად გამოაცხადეს კონკურსი - ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიების მოპოვების შესახებ 2007 წლის 17 სექტემბერს.

კონკურსი მიზნად ისახავს იმ ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებას, რომლებიც მუშაობენ და/ან სწავლობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებების განხრით და თავს იჩენენ აქტიური სამეცნიერო საქმიანობით. განმცხადებელი უნდა ყოფილიყო 35 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა.

სულ კონკურსის შედეგად დარეგისტრირდა **19 განაცხადი.**

ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივ. ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადი დარეგისტრირდა 8 ორგანიზაციიდან.

| **№** | **ორგანიზაცია** | **შემოსული განაცხადების რაოდენობა** |
|---|---|---|
| 1 | ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | 8 |
| 2 | იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი | 2 |
| 3 | ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 |
| 4 | პ. შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემია | 1 |
| 5 | სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი | 1 |
| 6 | საქართველოს ეროვნული მუზეუმი | 1 |
| 7 | სსიპ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი | 1 |
| 8 | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | 1 |

*გრაფიკი 1.*
*რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება აპლიკანტთა სქესის მიხედვით*



*გრაფიკი 2.*
*რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*




## შედეგები

აპლიკანტთა შესარჩევი კრიტერიუმები იყო: აპლიკანტის სამეცნიერო ბიოგრაფია, მისი მონაწილეობა საერთაშორისო გრანტებსა და ფორუმებში, პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული იქნა **10 საუკეთესო აპლიკანტი,** რომლებიც ერთი *წლის მანძილზე მიიღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით.*

სტიპენდია მიიღო 5 სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე 10-მა ახალგაზრდა მეცნიერმა.

| № | ორგანიზაცია | სტიპენდიანტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი | 4 |
| 2 | იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი | 2 |
| 3 | ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2 |
| 4 | პ. შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემია | 1 |
| 5 | სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი | 1 |

*გრაფიკი 3.*
*სტიპენდიატების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით*



*გრაფიკი 4.*
*სტიპენდიატების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*




## 4.2. კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ერთობლივად გამოაცხადეს კონკურსი - ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიების მოპოვების შესახებ 2007 წლის 17 სექტემბერს.

კონკურსი მიზნად ისახავს იმ ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებას, რომლებიც მუშაობენ და/ან სწავლობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკის, მექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით და თავს იჩენენ აქტიური სამეცნიერო საქმიანობით.

განმცხადებელი უნდა ყოფილიყო 35 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა.

სულ კონკურსის შედეგად დარეგისტრირდა 12 **განაცხადი.**

ახალგაზრდა მეცნიერთათვის ი. ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადი დარეგისტრირდა 3 ორგანიზაციიდან.

| № | ორგანიზაცია | შემოსული განაცხადების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი | 1 |
| 2 | ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 9 |
| 3 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 2 |

*გრაფიკი 1.*
*რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება აპლიკანტთა სქესის მიხედვით*




*გრაფიკი 2.*
*რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*




## შედეგები

აპლიკანტთა შესარჩევი კრიტერიუმები იყო: აპლიკანტის სამეცნიერო ბიოგრაფია, მისი მონაწილეობა საერთაშორისო გრანტებსა და ფორუმებში, პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული იქნა **10 საუკეთესო აპლიკანტი,** *რომლებიც ერთი წლის მანძილზე მიიღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით.*

სტიპენდია მიიღო 3 სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე 10-მა მეცნიერმა.

| № | ორგანიზაცია | სტიპენდიანტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი | 1 |
| 2 | ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 7 |
| 3 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 2 |

*გრაფიკი 3.*
*სტიპენდიატების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით*




*გრაფიკი 4.*
*სტიპენდიატების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*




## 4.3. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი

**ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი** მიზნად ისახავს ქვეყანაში მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით.

**კონკურსის გამოცხადების საინფორმაციო უზრუნველყოფა განხორციელდა:**

- **პრესით;**
- **ფონდის ვებ-გვერდის მეშვეობით;**
- **ინტერნეტ ვებ-გვერდზე: www.jobs.ge;**
- **საკონსულტაციო სემინარებით;**
- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი საინფორმაციო წერილებით და პოსტერებით;**
- **ბრიფინგით.**

**საკონკურსო პროექტები დარეგისტრირდა ფონდის მიერ გამოცხადებული რვა სამეცნიერო მიმართულების მიხედვით**

1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

ფონდის მიერ გამოიცა ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების სახელმძღვანელო ცნობარი ქართულ ენაზე, სადაც დეტალურად იყო წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის პროცედურა და პირობები.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსზე გამოყოფილი 2008 წლის ბიუჯეტი შეადგენს 500,000 ლარს.

## რეგისტრირებული პროექტები

კონკურსში მონაწილეობდა 211 საპროექტო წინადადება ფონდის მიერ გამოცხადებული რვა სამეცნიერო მიმართულებით.

*გრაფიკი 1.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობა სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

**სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, თითოეული პროექტისათვის მოთხოვნილი თანხა წელიწადში უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 15 000 ლარისა.** რეგისტრირებული პროექტების საერთო მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 2,732,752 ლარი. სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით მოთხოვნილი თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა:

*გრაფიკი 2.*
*რეგისტრირებული პროექტების მოთხოვნილი თანხები და მათი პროცენტული გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

ფონდის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, საკონკურსო პროექტების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3-დან 12 თვემდე. რეგისტრირებული პროექტების დიდი ნაწილი 12-თვიან პერიოდზე იყო გათვლილი, ხოლო 3-თვიანი ხანგრძლივობის პროექტების რაოდენობა იყო 4.

*გრაფიკი 3.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება ხანგრძლივობის მიხედვით*




*გრაფიკი 4.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება აპლიკანტების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*




*გრაფიკი 5.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება აპლიკანტების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა გათვალისწინებით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 6.1.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება აპლიკანტების სქესის მიხედვით*




*გრაფიკი 6.2.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი განაწილება აპლიკანტების სქესის მიხედვით სამეცნიერო მიმართულებების გათვალისწინებით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

## კონკურსის შედეგები

**ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 95 ქართველმა ექსპერტმა.**

კონკურსის შედეგად ექსპერტების შეფასებების საფუძველზე მიღებული გასაშუალებული ქულის მიხედვით, პროექტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

*გრაფიკი 7.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება მიღებული ქულების მიხედვით*



*გრაფიკი 7.1-7.8.*
*რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება მიღებული ქულების მიხედვით სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით*

*7.1. ქართველოლოგიური მეცნიერებები (სულ 22 პროექტი)*




*7.2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები (სულ 49 პროექტი)*




*7.3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები (სულ 16 პროექტი)*




*7.4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (სულ 17 პროექტი)*




*7.5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო (სულ 30 პროექტი)*




*7.6 სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები (სულ 52 პროექტი)*




*7.7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები (სულ 12 პროექტი)*




*7.8. აგრარული მეცნიერებები(სულ 13 პროექტი)*



## დაფინანსებული პროექტები

**კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩა და დამტკიცდა 37 უმაღლესქულიანი პროექტი, კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობის 17,3%.**

*გრაფიკი 8.1.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით (სულ 37 პროექტი)*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

**დაფინანსებული პროექტების სრული ბიუჯეტი შეადგენს 494,077 ლარს.**







*ცხრილი 1.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სამეცნიერო მიმართულებების გათვალისწინებით*

| № | სამეცნიერო მიმართულებები | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა | ბიუჯეტი |
|---|---|---|---|
| 1. | ქართველოლოგიური მეცნიერებები | 5 | 63 361 |
| 2. | ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები | 10 | 123 775 |
| 3. | მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები | 6 | 83 379 |
| 4. | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | 2 | 29 980 |
| 5. | დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | 6 | 82 249 |
| 6. | სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები | 5 | 67 939 |
| 7. | საინჟინრო მეცნიერებები | 2 | 29 962 |
| 8. | აგრარული მეცნიერებანი | 1 | 13 432 |
| | **სულ** | **37** | **494 077** |

*ცხრილი 2.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით მათი ხანგრძლივობის გათვალისწინებით 8 სამეცნიერო მიმართულებით*

| № | დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივობა (თვე) | ბიუჯეტი |
|---|---|---|
| **1.** | **ქართველოლოგიური მეცნიერებები** | |
| 1. | 12 | 14 831 |
| 2. | 12 | 14 210 |
| 3. | 12 | 14 998 |
| 4. | 12 | 9 942 |
| 5. | 12 | 9 380 |
| | **სულ** | **63 361** |
| **2.** | **ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები** | |
| 1. | 12 | 14 480 |
| 2. | 12 | 10 375 |
| 3. | 12 | 9 230 |
| 4. | 12 | 15 000 |
| 5. | 12 | 14 611 |
| 6. | 12 | 15 000 |
| 7. | 6 | 6 179 |
| 8. | 12 | 12 000 |
| 9. | 12 | 15 000 |
| 10. | 9 | 11 900 |
| | **სულ** | **123 775** |
| **3.** | **მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები** | |
| 1. | 12 | 14 000 |
| 2. | 12 | 13 377 |
| 3. | 12 | 11 826 |
| 4. | 12 | 14 999 |
| 5. | 12 | 14 999 |
| 6. | 12 | 14 178 |
| | **სულ** | **83 379** |
| **4.** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** | |
| 1. | 12 | 14 980 |
| 2. | 12 | 15 000 |
| | **სულ** | **29 980** |

| | | |
|---|---|---|
| **5.** | **დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო** | |
| 1. | 12 | 14 000 |
| 2. | 12 | 14 850 |
| 3. | 12 | 14 869 |
| 4. | 12 | 13 840 |
| 5. | 9 | 9 990 |
| 6. | 12 | 14 700 |
| | **სულ** | **82 249** |
| **6.** | **სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები** | |
| 1. | 12 | 15 000 |
| 2. | 12 | 15 000 |
| 3. | 9 | 11 515 |
| 4. | 12 | 11 424 |
| 5. | 12 | 15 000 |
| | **სულ** | **67 939** |
| **7.** | **საინჟინრო მეცნიერებები** | |
| 1. | 12 | 14 962 |
| 2. | 12 | 15 000 |
| | **სულ** | **29 962** |
| **8.** | **აგრარული მეცნიერებანი** | |
| 1. | 12 | 13 432 |
| | **სულ** | **13 432** |
| | **ჯამი** | **494 077** |

*გრაფიკი 9.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება მათი ხანგრძლივობის მიხედვით დამტკიცებული ბიუჯეტის გათვალისწინებით:*




*გრაფიკი 10.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება მათი ხანგრძლივობის მიხედვით:*



*გრაფიკი 11.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება მათი ხანგრძლივობის მიხედვით 8 სამეცნიერო მიმართულების გათვალისწინებით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 12.1.*
*დაფინანსებული პროექტების ავტორთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით*




*გრაფიკი 12.2.*
*დაფინანსებული პროექტების ავტორთა რაოდენობრივი გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა გათვალისწინებით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

*გრაფიკი 13.1.*
*დაფინანსებული პროექტების ავტორთა რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით*




*გრაფიკი 13.2.*
*დაფინანსებული პროექტების ავტორთა რაოდენობრივი გადანაწილება სქესის მიხედვით სამეცნიერო მიმართულე-ბების გათვალისწინებით*




1. ქართველოლოგიური მეცნიერებები
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

**დაფინანსებულ პროექტებში ახალგაზრდა მეცნიერები მონაწილეობდნენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე თანამონაწილე ორგანიზაციასთან ერთად.**

*ცხრილი 3.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება თანამონაწილე ორგანიზაციის მიხედვით*

| № | ორგანიზაცია | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 5. | ინდივიდუალურად | 14 |
| 2. | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 8 |
| 3. | არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი | 2 |
| 4. | ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინტიტუტი | 2 |
| 5. | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 |
| 6. | ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი | 1 |
| 7. | ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი | 1 |
| 8. | იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი | 1 |
| 9. | ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი | 1 |

| | | |
|---|---|---|
| 10. | საქართველოს ე. ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია | 1 |
| 11. | საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი | 1 |
| 12. | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 1 |
| 13. | სეისმური მონიტორინგის ცენტრი | 1 |
| 14. | ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი | 1 |
| 15. | ზოოლოგიის ინსტიტუტი | 1 |

*ცხრილი 4.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება თანამონაწილე ორგანიზაციის მიხედვით და ინდივიდუალურად სამეცნიერო მიმართულებების გათვალისწინებით*

| № | ორგანიზაცია | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|
| **1.** | **ქართველოლოგიური მეცნიერებები** | |
| 1. | **ინდივიდუალურად** | 1 |
| 2. | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 |
| 3. | არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი | 2 |
| 4. | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 |
| | | |
| **2.** | **ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები** | |
| 1. | **ინდივიდუალურად** | 6 |
| 2. | ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი | 1 |
| 3. | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2 |
| | | |
| **3.** | **მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები** | |
| 1. | **ინდივიდუალურად** | 3 |
| 2. | ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი | 1 |
| 3. | თსუ, ი. ვეკუას სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი | 3 |
| | | |
| **4.** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** | |
| 1. | საქართველოს ე. ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია, ილ. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 |
| 2. | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 |
| | | |
| **5.** | **დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო** | |
| 1. | **ინდივიდუალურად** | 2 |
| 2. | ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინტიტუტი | 2 |
| 3. | ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი | 1 |
| 4. | სეისმური მონიტორინგის ცენტრი | 1 |
| | | |
| **6.** | **სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები** | |
| 1. | **ინდივიდუალურად** | 1 |
| 2. | იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი | 1 |
| 3. | ზოოლოგიის ინსტიტუტი | 1 |
| 4. | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 |
| 5. | ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი | 1 |
| | | |
| **7.** | **საინჟინრო მეცნიერებები** | |
| 1. | **ინდივიდუალურად** | 1 |
| 2. | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 1 |
| | | |
| **8.** | **აგრარული მეცნიერებანი** | |
| 1. | საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი | 1 |

*გრაფიკი 14.*
*დაფინანსებული პროექტების გადანაწილება თანამონაწილე ორგანიზაციის მიხედვით*






**სულ დაფინანსებული პროექტები მოექცა ფონდის მიერ შემუშავებული სამეცნიერო დეტალური კლასიფიკატორის 27 ქვემიმართულებაში. დეტალური კლასიფიკატორის მიხედვით, დაფინანსებული პროექტები შემდეგნაირად გადანაწილდა:**

*ცხრილი 5.1-5.8.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობა დეტალური კლასიფიკატორის მიხედვით*

*5.1.*

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| **1. ქართველოლოგიური მეცნიერებები** | | | |
| 1 | 1-100 | საქართველოს ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია | 3 |
| 2 | 1-110 | ქართული ლიტერატურა | 1 |
| 3 | 1-120 | ქართველური ენები | 1 |

*5.2.*

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| **2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები** | | | |
| 4 | 2-610 | აგრარული წარმოების ეკონომიკა | 1 |
| 5 | 2-540 | სოციალური ფსიქოლოგია | 3 |
| 6 | 2-600 | მაკროეკონომიკა | 1 |
| 7 | 2-200 | ლიტერატურათმცოდნეობა | 1 |
| 8 | 2-320 | ეთნოგრაფია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგია | 1 |
| 9 | 2-910 | სამართლის ისტორია, კანონმდებლობები, კონსტიტუციური სამართალი | 2 |
| 10 | 2-210 | ენათმეცნიერება | 1 |

5.3.

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები | | | |
| 11 | 3-106 | გამოთვლითი მათემატიკა. რიცხვითი მეთოდები | 2 |
| 12 | 3-105 | მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია | 1 |
| 13 | 3-100 | მათემატიკური ანალიზი | 2 |
| 14 | 3-113 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | 1 |

5.4.

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | | | |
| 15 | 4-300 | ასტროფიზიკა | 1 |
| 16 | 4-540 | ქრომატოგრაფია | 1 |

5.5.

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო | | | |
| 17 | 5-220 | ნარჩენების მართვა | 1 |
| 18 | 5-150 | გეოლოგია | 2 |
| 19 | 5-100 | გეოგრაფია | 2 |
| 20 | 5-160 | გეოფიზიკა | 1 |

5.6.

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები | | | |
| 21 | 6-240 | მოლეკულური ბიოლოგია | 2 |
| 22 | 6-404 | ფარმაცია, ფარმაცევტული ქიმია და ფარმაკოგნოზია | 1 |
| 23 | 6-110 | ზოოლოგია | 1 |
| 24 | 6-120 | ბოტანიკა | 1 |

5.7.

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 7. საინჟინრო მეცნიერებები | | | |
| 25 | 7-220 | საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მასალათა ნაწარმის ტექნოლოგია | 1 |
| 26 | 7-200 | ქიმიური ტექნოლოგია | 1 |

5.8.

| № | კოდი | ქვემიმართულების სახელწოდება | დაფინანსებული პროექტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 8. აგრარული მეცნიერებანი | | | |
| 27 | 8-105 | ნიადაგმცოდნეობა | 1 |

# 5. საერთაშორისო თანამშრომლობა

## აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი

**1.** 2007 წლის 18 ივნისს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა (GRDF) გამოაცხადეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის ფარგლებში ბიზნეს-პარტნიორობის (STEP BPG) ერთობლივი საგრანტო კონკურსი. კონკურსის მიზანი გახლდათ მეცნიერთა ჯგუფებსა და კომპანიებს შორის ორივე მხარისათვის ეკონომიკური სარგებლობის მომტანი, ახალი კომერციული შესაძლებლობების განვითარება. აღსანიშნავია, რომ STEP - BPG პროექტები სამეცნიერო ნაწილის გარდა მოიცავდნენ ბაზრის წინასწარ გამოკვლევას, მომხმარებლების საჭიროებების ანალიზსა და ბიზნესის განვითარების კომპონენტებს.

კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი იქნა 51 პროექტი.

2007 წლის 10 დეკემბერს, სასტუმრო თბილისი - მერიოტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა აღნიშნული კონკურსის საფუძველზე ექსპერტების მიერ შერჩეული 12 საუკეთესო პროექტის - ბიზნეს წინადადების პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ როგორც მეცნიერთა ჯგუფები, ასევე იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ პროექტებში. პრეზენტაციის შემდგომ ამერიკელი და ქართველი ექსპერტებისაგან შექმნილმა ჟიურიმ გამოავლინა ბიზნესზე ორიენტირებული 8 სამეცნიერო პროექტი რომელებიც უზრუნველყოფილი იქნებიან CRDF-ის და სესფ-ის ერთობლივი დაფინანსებით 2008 წლის მანძილზე. პროექტების ჯამური საგრანტო დაფინანსება შეადგენდა 330 000 ლარს. აქედან 263 000 ლარი გამოყო საქართველოს მხარემ, ხოლო 67 000 - აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა.





*ცხრილი 1.*
*დაფინანსებული პროექტები ორგანიზაციის მიხედვით*

| № | ორგანიზაცია | პროექტის დასახელება |
|---|---|---|
| 1 | დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი | ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ეკოლოგიურად სუფთა ახალი თაობის ფრიქციული მასალების ტექნოლოგიის დამუშავება |
| 2 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სამედიცინო დანიშნულების ბაქტერიციდული წებო GF-6 |
| 3 | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ციტრუსების ექსტრაქტი — მეტაბოლური სინდრომის კორექციის ეფექტური საშუალება |
| 4 | დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტი | დამატებითი ღირებულების პროდუქტების მიღების ინოვაციური და იაფი ტექნოლოგიის შემუშავება აგროსამრეწველო ნარჩენების ბიოკონვერსიის გზით |
| 5 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | თბოსაიზოლაციო და საიზოლაციო-კონსტრუქციული სამშენებლო მასალების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება მაღალტემპერატურული თბური დამუშავებით |
| 6 | ელიავას ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი | ქართული ყველის „იმერული" სტანდარტული დედოს შექმნა |
| 7 | საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი | პოლიფენოლებით კონცენტრირებული წითელი ღვინოების, წვენებისა და ექსტრაქტების დამზადების ტექნოლოგია |
| 8 | თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი | სამოქალაქო დანიშნულების მსუბუქი და ეკონომიური ანტიბალისტიკური დამცავი ეკრანების საწარმოო ტექნოლოგიის დამუშავება |

დაფინანსებული პროექტების ძირითადი პერსონალის რაოდენობა შეადგენს 53 მეცნიერს.

*გრაფიკი 1.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება.*




*გრაფიკი 2.*
*დაფინანსებული პროექტების ძირითადი პერსონალის რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით.*



*გრაფიკი 3*
*დაფინანსებული პროექტების ხელმძღვანელების რაოდენობრივი გადანაწილება სქესის მიხედვით.*




უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ეს პირველი მცდელობაა, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერების კომერციალიზაციის რეალურ ხელშეწყობას.

**2.** 2007 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა (GRDF) გამოაცხადეს ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის 2007 წლის ეროვნული პროგრამის (GNSS) კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა, CRDF-ის და სესფ-ის ერთობლივ დაფინანსებით, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა მეცნიერებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას პროფესიული ზრდის საწყის ეტაპზე.

კონკურსით განსაზღვრული პირობები გულისხმობდა ახალგაზრდა, პერსპექტიული მეცნიერების პროექტების საგრანტო დაფინანსებას ერთი წლის განმავლობაში, წინასწარ განსაზღვრულ სამეცნიერო პრობლემაზე მუშაობისათვის და მოიცავდა, როგორც ინდივიდუალურ ფინანსურ მხარდაჭერას (ხელფასს), ისე აშშ-ში 3 თვემდე მივლინებას და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურებას. კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი 22 პროექტიდან სულ დაფინანსდა 15 პროექტი, რომელთა განხორციელებაც დაიწყება 2008 წლის იანვრიდან.

პროექტების ჯამური საგრანტო დაფინანსება შეადგენს 289 000 ლარს. აქედან 49 500 ლარი გამოყო საქართველოს მხარემ, ხოლო 239 500 - აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა.

*ცხრილი 2.*
*დაფინანსებული პროექტები მოთხოვნილი ბიუჯეტის მიხედვით*

| № | პროექტის დასახელება | ბიუჯეტი (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ვაზის მოლეკულური მრავალფეროვნების გეოგრაფიული შესწავლა მისი კულტურული და ველური პოპულაციების ურთიერთკავშირის დადგენის თვალსაზრისით | **18 975** |
| 2 | კოროზია- და ტრიბომედეგი ოქსიდური ზედაპირული ფენების სტრუქტურული თავისებურებების გამოკვლევა და მათი მიღების ტექნოლოგიის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავება | **18 975** |
| 3 | ფუნქციონალურ გრადიენტული მასალების მიღება Ti-Al-B სისტემის ბაზაზე დარტყმითი ტალღების თანხლებით მიმდინარე თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ტექნოლოგიით | **18 975** |

| № | პროექტის დასახელება | ბიუჯეტი (ლარი) |
|---|---|---|
| *4* | თავისუფალი რადიკალების ზემოქმედების შესწავლა კოლაგენსა და კოლაგენის მოდელურ პეპტიდებზე | **18 906** |
| *5* | AGO-თან დაკავშირებული ცილების შესწავლა, რომლებიც მოთავსებული არიან TNF-ს ARE -მესენჯერულ რიბონუკლეოპროტეინულ ნაწილაკში ტრანსლაციის აქტივაციის დროს | **18 975** |
| 6 | არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ზოგიერთი კლასის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა | **18 975** |
| *7* | მავნე მწერებისაგან მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა - ენტომოპათოგენური ნემატოდების გამრავლებითა და მათი გამოყენებით სხვადასხვა აგროცენოზში | **18 972** |
| *8* | სიმსივნური თერაპიის ახალი სამიზნე: ფერიტინის ბირთვული ტრანსლოკაციის კონტროლი | **18 115** |
| *9* | ჰიპოკამპური კრუნჩხვითი აქტივობის ნორადრენერგული მოდულაციის მექანიზმების კვლევა და ლურჯი ლაქის აქტივაციის ანტიკონვულსიური მოქმედებაში გალანინის წვლილის გასაზღვრა | **18 975** |
| *10* | საშუალო განედების გეოკორონის წყალბადის ნათების ინტენსივობის გრძელვადიანი ვარიაციები და მასში გარემოს ცვლილებების შესაძლო წვლილის დადგენა | **18 939** |
| *11* | ასთმის გენეტიკური ასპექტების შესწავლა | **18 975** |
| *12* | ციტრუსის კანის ექსტრაქტის გავლენის შესწავლა იმუნოლოგიურ მაჩვენებლებზე (მარეგილირებელ უჯრედებსა და ციტოკინებზე) | **18 627** |
| *13* | მრავალ-ნაწილაკოვანი დინამიკის შესწავლა სხვადასხვა ტიპის იონიზაციის პროცესებში რამდენიმე დამჯახებელი წყვილისათვის კინემატიკურად სრული ექსპერიმენტის საშუალებით | **18 810** |
| *14* | ნანოკრისტალური სცინტილაციური მასალების მიღება და კვლევა | **18 975** |
| *15* | ქათმისებრ ფრინველთა ეკოლოგიური ნიშების ანალიზი, თანამედროვე მეთოდები.:კავკასიაში მობინადრე მთის ქათმისებრ ფრინველთა სანიმუშო კვლევა | **18 975** |
|  | *სულ* | **283 144** |

*გრაფიკი 4.*
*დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება.*



*გრაფიკი 5*
*დაფინანსებული პროექტების ხელმძღვანელების რაოდენობრივი გადანაწილება სქესის მიხედვით.*




## უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი - STCU

2007 წელს „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების“ კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 7 სამეცნიერო პროექტი. დაფინანსებული პროექტების ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 285 757 ლარს.

2007 წლის 5 ნოემბერს, სესფ-მა და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა ცენტრმა (STCU) გამოაცხადეს მეორე კონკურსი „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის ფარგლებში.
კონკურსი მოიცავდა სამ სფეროს:

1. ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ;
2. ენერგოეფექტურობა;
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

STCU-ს და სესფ-ის შეთანხმების შესაბამისად კონკურსის მე-2 (დასკვნითი) ეტაპისთვის შეირჩა 26 საპროექტო წინადადება, რომელთაც მიიღეს დამოუკიდებელი ექსპერტების უმაღლესი შეფასება. პროექტების შემდგომ შეფასებას განახორციელებენ STCU-ს მიერ შერჩეული უცხოელი ექსპერტები. კონკურსის საბოლოო შედეგები შეჯამდება 2008 წლის ივნისში, უშუალოდ STCU-ს მმართველთა საბჭოზე.

## საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი

2007 წლის 28 ივნისს, ქ. მოსკოვში სესფ-ის დირექტორმა, ISTC-ს მმართველთა საბჭოს წევრმა ნათია ჯოხაძემ და ISTC-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ნორბერ ჟუსტენმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დასაბამს აძლევს ამ ორგანიზაციებს შორის ორმხრივად საინტერესო მაღალი ტექნოლოგიების შექმნაზე ორიენტირებული პროექტების შერჩევას და მათი კომერციალიზაციის მხარდაჭერის ღონისძიებების გატარებას.

პროგრამის ძირითადი მიზანია საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს მდგრადი განვითარებისთვის დაფინანსების ახალი სტრატეგიის შემუშავება და საქართველოს მეცნიერებისა და ინჟინრების მონაწილეობით საინოვაციო პროექტების ერთობლივი დაფინანსების სქემების განხორციელება.

## NATO

სესფ-ის NATO-სთან თანამშრომლობა მოიცავს რამოდენიმე ასპექტს. კერძოდ, სესფ-ში ფუნქციონირებს NATO-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ საინფორმაციო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს ქართველი მეცნიერების და სპეციალისტების საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარებას.

სესფ-ის დირექტორი ქ-ნი ნათია ჯოხაძე, საერთაშორისო სამსახურის უფროსი ბ-ნი თედორე დოლიძე და NATO-ს საინფორმაციო ბიუროს უფროსი ბ-ნი ნიკოლოზ ბაქრაძე არიან NATO-სა და საქართველოს შორის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი სამთავრობო სამუშაო ჯგუფის „განათლება და მეცნიერება“ წევრები, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს IPAP-ის წარმატებით შესრულებაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით სესფ-ის და NATO-ს საჯარო დიპლომატიის დეპარტამენტის მიერ 2007 წლის 31 მაისს - 1 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ერთობლივი საინფორმაციო-საკონსულტაციო სემინარი - „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საქართველოში“, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობას ნატოს სამეცნიერო პროგრამებში.







სემინარზე მოხსენებით გამოსულმა NATO-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისათვის“ წარმომადგენელმა, ასოცირებულმა დირექტორმა ბ-ნმა ვალტერ კაფენბერგერმა აუდიტორიას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ და წარმოაჩინა ის უპირატესობები, რომლებსაც იძლევა მასში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა.

სემინარზე მოხსენებებით წარსდგნენ ქართველი მეცნიერებიც, რომლებმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მიიღეს NATO-ს სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო პროგრამის გრანტი. მათ აღნიშნეს მიღებული შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, გამოთქვეს მოსაზრებები სამეცნიერო პროგრამების შესაძლო სამომავლო განვითარებაზე.

ქართველი მეცნიერების NATO-ს სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, სესფ-ის ხელმძღვანელობის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის და NATO-ს პროგრამის წარმომადგენლებთან განხილვების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება NATO-ს გრანტის მიმღებ ქართველ მეცნიერთათვის საქართველოს მხრიდან სახელმწიფო სტიპენდიების გაცემის თაობაზე. აღნიშნული პროცესი დაიწყება 2008 წლიდან და შეეხება პროექტებს, რომლებმაც მიიღეს გრანტი NATO-ს შემდეგ პროგრამებში: „მეცნიერება მშვიდობისათვის“ და „ქსელური ინფრასტრუქტურის გრანტები“.

## INTAS



ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეცნიერებთან თანამშრობლობის მხარდამჭერი საერთაშორისო ასოციაცია (INTAS) და საქართველოს ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება ხდება INTAS-ისა და სესფ-ის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.



აღნიშნული საქმიანობა ამჟამად მოიცავს ა) „ახალგაზდა მეცნიერთა სასტიპენდიო გრანტის ერთობლივ (INTAS-საქართველო) კონურსში“ გამარჯვებული 9 პროექტის ადმინისტრირებას და ბ) „INTAS – სამხრეთ კავკასია 2006“ ერთობლივი კონკურსის შედეგად გამარჯვებული იმ 12 პროექტის ადმინისტრირებას, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს სამეცნიერო ორგანიზაციები.

მიმდინარე წლის 28-30 მარტს INTAS-მა და სესფ-მა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართეს ერთობლივი სემინარი, რომელმაც შეასრულა „INTAS – სამხრეთ კავკასია 2006“ კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების სასტარტო შეხვედრის ფუნქცია. ამასთან ერთად სემინარზე განხილულ იქნა ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სამომავლო თანამშრომლო-

ბის შესაძლებლობები. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მეცნიერებმა, ამ ქვეყნებში სამეცნიერო პოლიტიკის განსაზღვრაში ჩართულმა პირებმა (სულ 150 დელეგატმა, მათგან 100-მდე უცხოეთიდან).

## ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამა - FP7

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი წარმოადგენს ევროკავშირის კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და სადემონსტრაციო საქმიანობის ჩარჩო პროგრამების საქონტაქტო ორგანიზაციას საქართველოში. სესფ-ში ფუნქციონირებს ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) საინფორმაციო-საკონსულტაციო ბიურო, რომელიც შესაბამის დახმარებას უწევს ქართველ მეცნიერებს და სპეციალისტებს.

მიმდინარე წლის სექტემბერში ევროკომისიის მიერ დამტკიცდა FP7-ის ფარგლებში განსახორციელებელი 4 წლიანი პროექტის „აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში“ (IncoNet EECA) დაფინანსება. პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 10 წევრი სახელმწიფოს) 23 ორგანიზაცია. მაკოორდინირებელი ორგანიზაციაა შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრი - ICBSS (საბერძნეთი). საქართველო წარმოდგენილია სესფ-ით, ხოლო სესფ-ის თანამშრომელი გახლავთ როგორც პროექტის მმართველი საბჭოს წევრი, ისე პროექტის ამოცანათა სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელი.

პროექტი, რომელზეც მუშაობა დაიწყება 2008 წლის იანვრიდან, მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერთა თანამშრომლობის გაღრმავებას ევროკავშირის ქვეყნებთან და მეცნიერების პოლიტიკის ჰარმონიზაციას, ერთობლივი კვლევების ხელშეწყობას (პირველ რიგში FP7-ის ფარგლებში), ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას და სხვა ღონისძიებებს.





## ევროკავშირი



მიმდინარე წელს სესფ-ის ბაზაზე გრძელდებოდა მუშაობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტზე N/Tacis/2006, 123052 „მეცნიერების ადმინისტრირების ეფექტური მოდელის შექმნა: ევროკავშირის გამოცდილების მიმოხილვა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მეცნიერების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება“, რომელზეც ქართველ მეცნიერებთან ერთად მუშაობდნენ ესტონელი და ფინელი ექსპერტები, ესტონეთის სამეცნიერო ფონდის „არქიმედესის“ ხელმძღვანელობით.



პროექტის ძირითადი ამოცანა გახლდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სესფ-ის დახმარება ქვეყნის სამეცნიერო სექტორის საქმიანობის განახლებისათვის აუცილებელი მკაფიო სტრატეგიის და გამჭვირვალე პოლიტიკის განსაზღვრაში.



პროექტის დამთავრებისთვის (2007 წლის ივნისი) მომზადდა, დაიბეჭდა და საქართველოს უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში დარიგდა შემდეგი წიგნები:



- რეკომენდაციები საქართველოს მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებისთვის ანგარიში;
- საქართველოს მეცნიერების პოლიტიკის შეფასების ანგარიში (ცალკე წიგნებად: დანართი 1-3 და დანართი 4);
- ევროკავშირისა და საერთაშორისო მოწინავე გამოცდილება მეცნიერების პოლიტიკასთან მიმართებაში.

პროექტის შედეგების საბოლოო განხილვა და დამტკიცება მოხდა 2007 წლის სექტემბერში საკოორდინაციო კომიტეტის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრები, წამყვანი უნივერსიტეტების რექტორები და ცნობილი მეცნიერები.

## შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია

სესფ-ი მუდმივ ურთიერთობაშია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (BSEC). ფონდის დირექტორი სისტემატიურად იღებს მონაწილეობას BSEC-ის წევრი ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

# ფინანსური საქმიანობა

## საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წლის მთლიანი დაგეგმილი ბიუჯეტი

2007 წელს ფონდის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 7,016,770 ლარი, მათ შორის აპარატის ხარჯებისთვის 447 322 ლარი.

*გრაფიკი 1.*
*ფონდის 2007 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი ხარჯი.*




IV

## სამეცნიერო პროგრამებზე გაწეული ხარჯები

*გრაფიკი 2.*
*სამეცნიერო პროგრამების ბიუჯეტი*




*გრაფიკი 3.*
*თემატური პროგრამების ბიუჯეტების განაწილება*



*გრაფიკი 4.*
*2007 წლის საკასო ხარჯების შედარება 2006 წლის იმავე მაჩვენებლებთან*




*გრაფიკი 5.*
*მოზიდული სახსრები (საერთაშორისო თანადაფინანსების წილი)*



# ჩვენს შესახებ

V

## დაარსება

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაარსდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 ივლისის № 653 ბრძანებულებით მეცნიერების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

## ადმინისტრირება

სესფ-ის ორგანოებია:
**ა) სამეცნიერო საბჭო;**
**ბ) დირექტორი;**
**გ) აპარატი.**

**სამეცნიერო საბჭო** შედგება სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეების ავტორიტეტული წარმომადგენლებისაგან. ის შეიმუშავებს ფონდის პოლიტიკას და ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას, ამტკიცებს ფონდის ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს; ადგენს ფონდის მუშაობის პრიორიტეტებს; აქვეყნებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ დეტალურ მონაცემებს.
**დირექტორი** ხელმძღვანელობს ფონდის საქმიანობას, ის უზრუნველყოფს საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკისა და სამოქმედო სტრატეგიის განხორციელებას ფონდის წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.
**ფონდის აპარატი** ახორციელებს დირექტორისა და საბჭოს საქმიანობის ტექნიკურ უზრუნველყოფას. აპარატის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ფონდის ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად.

## მიზნები და ამოცანები

ფონდის ძირითადი მიზანია სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით, საკონკურსო წესით, ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფო გრანტებისა და სტიპენდიების გაცემის ორგანიზება. ფონდის ძირითადი ამოცანებია:

- სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერების მიზნით ხელი შეუწყოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების განხორციელებას;
- ხელი შეუწყოს სამეცნიერო ინფრასტუქტურის განვითარებას;
- ხელი შეუწყოს მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას.

# აბრევიატურები:

| | |
|---|---|
| სესფ | საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი |
| უსტც | უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი (STCU) |
| სსტც | საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი (ISTC) |
| NATO | ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი |
| BSEC | შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა |
| CRDF | აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი |
| GRDF | საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი |